№ 138 ივლისი 3, კვირა 1888 ივლისი, 3 კვირა № 138

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	[illegible] 50	5	5 50
10	[illegible] 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888 1877—1888

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სახაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ტფილისი, 2 ივლისი

ერთს დროს დიდი და გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდა ევროპიის ლიტერატურას და ნამეტნავად რუსეთისას ეგრედ წოდებულ „დედათა ემანსიპაციის“ თაობაზედ. მომხრენი ამ საქმისა ჰხედავდნენ, რომ ეხლანდელი ურთიერთობა მამათა და დედათა სქესისა ვერ არის სამართლიანად მოწყობილი და აშენებულია უმართლო მოძღვრებაზედ, ვითომ დედაკაცი მამაკაცთა ტყვე და მონა არისო და ამის გამო ბევრში უფლებას თავისუფალის ადამიანისას მოკლებულიაო. ამის მიხედვით დაჩაგრულთა დედათა მომხრენი სწერდნენ და ჰქადაგობდნენ, რომ ქალებს უნდა მიენიჭოთ ყოველივე უფლება, რაც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული, ასე რომ ამ ორ სქესთა შორის ურთიერთობა სამართლიანის თანასწორობით დადგენილ იქმნას კაცთა ცხოვრებაშიო.

ბევრი კარგი რამ ითქვა ამაზედ, ბევრი საბუთიანი ჰქო და არა გამომქდავნდა და ბევრიც უქმი, წინდაუხედავი სიტყვა დაიხარჯა. მაინც და მაინც საბუთი აქვს კაცს სთქვას, რომ ეს საგანი საკმაოდ გამორკვეულია დღეს და თეორიულად მრავალ-კეცად და გონება-დასმით გარჩეული და გაჩხრეკილი. ჩვენ ეს ბუნება და ისტორია ამ ფრიად საყურადღებო საქმისა აქ დღეს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ, იმიტომ-რომ აზრად არა გვაქვს ამ საგნის ბუნება და ისტორია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ.

ჩვენ მარტო ის გვინდა ვსთქვათ, რომ ამ თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ საზოგადოების ყურამდე სრულის სავსებით ვერ მიაღწია. ბევრს კაცსა, თუ ქალსა ჰგონია დღესაც, რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი, ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის-რა, გარდა იმისა, რომ ქალთა, თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას-კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა. მართალია, მამა კაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველ გვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად აძევს. დღეს ქალები რომ იძახიან,—მოგვეცით უფლებაო, ეს ძახილი თუმცა სამართლიანია, მაგრამ ჰრჩება ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა: იმიტომ-რომ ყველანი ჰხედვენ, რომ ქალები ბევრ წილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლედ შემოხაზულ წრეშიაც-კი, რომელშიაც დღეს იმყოფებიან, და იმ მცირეოდენს მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მიზომილი აქვთ საზოგადოებასა, თუ ოჯახობაში.

ეს დღევანდელი უქმობა და უვარგისობა ქალებისა ხელზედ დახვეული აქვთ ყველას, ვინც-კი დედათა ემანსიპაციას არ ემხრობა და ეწინააღმდეგება. თითო-ოროლა მაგალითი საქმითა და გამჭრიახობით გამოჩენილ ქალებისა ამ წინააღმდეგობის საბუთს ბევრს არას არღვევს. ამ მაგალითებს მარტო ბედნიერ შემთხვევად სთვლიან და უფროს-ერთს ქალზედ-კი ისევ ის უვარგისობის აზრი ჰრჩება.

ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რამე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძღვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამც თუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს განზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევა-მოსილობითაც შეუსრულებიათ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით უტყუარად გამოარკვევს კაცი თუ,—რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რა რიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც-კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლეობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელ-მიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

იგი გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვა-და-სხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის-კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურს ქალებს იმისთანა საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუ-იორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის (подземный телескопъ), ქალს გვარად მონტგომერს—ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გომამს—ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს—წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის—მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქონლო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის.

◆

ახალი ამბავი

⁂ იბეჭდება და მზად იქნება სექტემბრისათვის საკმაოდ მოზრდილი ახალი ქართული წიგნი, სახელ-წოდებით „ჩანგი“. ეს წიგნი შეუდგენია ჩვენს არტისტს ბ-ნ ვასილი აბაშიძეს და დაუნიშნავს მომეტებულ ნაწილად არტისტებისათვის სახელმძღვანელოდ. წიგნში ხუთი განყოფილება იქნება. ამ ხუთს განყოფილებაში მოთავსდება ყველა ის მასალა ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც-კი სასცენოდ არის გამოსადეგი, ან წარმოსადგენად, ან წასაკითხად, მაგალითად, ლექსები, პოემები შემოკლებით, პროზით ნაწერები, საოხუნჯო კუპლეტები და ლექსები, დრამატიული სცენები და სხვანი. წიგნში იქნება აგრეთვე სამი-ოთხი სურათი ქართველ არტისტებისა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ სასულიერო მთავრობას უკვე გაუსინჯავს ახალი სახელმძღვანელო ბ-ნის გოგებაშვილისა „Русское Слово“, მიუცია უპირატესობა ყველა სახელმძღვანელოებზე, რომელიც-კი აქამდისინ დაბეჭდილა საქართველოში, და მოუწონებია.

⁂ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მაისის გასულს საქართველოს ეწვია ინგლისიდგან ცოტა ხნობით ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მორფილი, რომელიც სწავლობს ქართულს ისტორიასა და ქართულს ენას. პროფესორმა იყიდა ყველა შესანიშნავი გამოცემანი ქართულს ენაზედ თან წასაღებად. ზოგმა ავტორებმა ქართულის წიგნებისამ გაუგზავნეს თავისი გამოცემანი. სხვათა შორის გაუგზავნია ყველა თავისი სახელმძღვანელონი ბ-ნს გოგებაშვილსაც მორფილისათვის ტფილისში მყოფობის დროს. ივნისის ნახევარში ბ-ნს მორფილს გაუთავებია მოგზაურობა სხვა ქვეყნებშიაც, დაბრუნებულა ოქსფორდს და იქიდგან მოუწერია წერილი ბ-ნის გოგებაშვილისათვის, რომელშიაც ამბობს, რომ თუმცა მოგზაურობის გამო მხოლოდ გადასინჯვა მოვასწარ თქვენის წიგნებისა, მაგრამ მაინც ეხლავე შემიძლიან ვსთქვა, რომ ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ეს წიგნები ქართულის ენისათვისაო.

⁂ სოფ. სვიმონეთი: 19 ივნისს აქ მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი. ღამის მესამე საათზე მიუხდნენ ავაზაკები (სამი თუ ოთხი კაცი) ზურაბ კლდიაშვილს, ოთხმოციოდე წლის მოხუცსა. სახლის აივანზე მოსამსახურე ბიჭი იწვა, ოც-და-ორის წლისა. ბიჭმა გაიგონა თუ არა ხმაურობა, ზეზე წამოვარდა, ეტაკა ერთს ავაზაკს, რომელიც კარისაკენ მიდიოდა, შემოეხვია წელზე და მორთო ყვირილი: არიქა, ბატონო, თავს უშველეთ, ავაზაკები მოდიანო. ერთი ავაზაკთაგანი ბიჭს ეუბნებოდა: ისა სჯობია გაჩუმდიო, მაგრამ, როცა ბიჭმა არ შეისმინა იმისი რჩევა, ავაზაკმა იშიშვლა ხანჯალი, ჩასცა საბრალო ბიჭს მუცელში და ხელებიც დაუჭრა. ამასობაში ხმაურობაც შეიქმნა და სოფელმაც შეიტყო. ავაზაკებმა ბევრი აღარ მოიცადეს და მოჰკურცხლეს. საბრალო ბიჭს სამი საათიც აღარ უცოცხლნია; თხუთმეტამდე ჭრილობა ჰქონდა.

ამ ერთის თთვის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. ათს ივნისს, როგორც „ივერიაშივე“ მოხსენებული იყო, ექვსი კაცი თავს დაესხა მღვდელს გიორგი კლდიაშვილს. საბრალო მღვდელს საბანში დარჩობა მოუნდომეს, მაგრამ რადგან არ იცოდნენ, სად რა ჰქონდა მღვდელს შენახული, ავაზაკები შეუსხდნენ მხარში მოხსენებულს მღვდელს, მოატარეს მთელი სახლი და ჩააცივდნენ: გვიჩვენე, სად რა გაქვს შენახულიო. შეშინებულმა მღვდელმა აჩვენა, ოღონდ ნუ მომკლავთო. საბრალო ბევრი აწვალეს მტარვალებმა, ხანჯლის წვერით დაუჩხვლიტეს ყელი და ტუჩები. ბარგი და შვიდასი მანეთი ფული რომ გაალაგეს გარეთ, მღვდელს საბანი წაახურეს და უთხრეს: სანამ ცხენის ფეხის ხმა არ მისწყდეს, ხმა არ ამოიღოვო. შემდეგ ავაზაკებმა ბარგი ცხენებს აჰკიდეს და გაუდგნენ თავიანთს გზასა. პოლიციაც მოვიდა, ახედ-დახედა აქაურობას, მაგრამ ვერა აღმოაჩინა-რა.

⁂ ქუთაისი: თანაშემწე აქაურის მომრიგებელ-მოსამართლისა, ბ-ნი ლინევიჩი, რომელსაც, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, უსიამოვნება მოუვიდა ამ რამდენისამე თთვის წინად გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალთან—თავ. ალ. ნიჟარაძესთან და თან ჰბრალდებოდა ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარის შეურაცხყოფა, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა. ამის თაობაზე დეპეშა მოვიდა პეტერბურგიდგან.

⁂ ქუთაისიდამვე: ოთხის წლის შემდეგ თავდება ვადა, რომლითაც სახელმწიფო გიმნაზიის მთავრობას დაქირავებული აქვს სახლი. ვადის შემდეგ გიმნაზიის მთავრობამ ან სხვა სახლი უნდა დაიქირაოს და ან საკუთარი უნდა შეიძინოს. აქაურის სადგილ-მამულო ბანკის მმართველობას განზრახვა აქვს შეისყიდოს სახელმწიფო გიმნაზიის დღევანდელი სადგომი სათავად-აზნაურო პროგიმნაზიისათვის. რადგანაც ბანკს ნება არა აქვს მამულის სყიდვისა, ამიტომ მმართველობამ ცალკე ნება-რთვა უნდა გამოსთხოვოს ბ-ნს მინისტრს.

⁂ იქიდამვე: მთავრობას წარუდგინეს დასამტკიცებლად არჩევანი თავ. პ. ნაკაშიძისა, რომელიც წელს არჩეული იქმნა გუბერნიის მარშლად.

⁂ ქართლი: რუისელები სჩივიან და ტირიან უწყლოობის გამო. ჩვენი უწყლოობა არც ჩვენის სოფლის ბრალია და არც თვითონ სოფლელების გაურჯელობისაო. სოფელს დიდი რუ აქვს გამოყვანილი ლიახვიდამ ძველადგანვე და ამ რუსაგან აქვს თვისი სახელ-წოდება მიღებული. ეს რუ იწყება ცხინვალს ახლო და მოდის ლიახვის პირ სოფლებზე, ფხვენისზე, შინდისზე, საქაშეთზე და ჩამოდის რუისში. სოფელს, რომელშიაც 500 კომლამდე კაცია და თითქმის 3—4 ვერსზეა გაჭიმული, ჰყავს დანიშნული მერუენი ანუ რასადარები, რომელნიც მოვალენი არიან ყური უგდონ რუს, აკეთონ, ასწორონ და დაუბრკოლებლივ ადინონ წყალი სათავიდამვე დაწყებული თითქმის 10—15 ვერსის მანძილზე. ამისათვის სოფელი ვალდებულია მერუეებსა და რასადარებს აძლიოს ჯამაგირი და თითო მუშა კაციც აშველიოს წელიწადში. საქმე ასე კარგად არის მოწყობილი, მაგრამ სოფელი უწყლოობით ირჩობა, აუარებელი ვენახები და ბოსტნეულობა სჭკნება და იხრდება, შინაური ფრინველი არ იზრდება და საქონელი საცოდავად არის ხოლმე. მიზეზი ჩვენის ასეთის გაჭირებისა ის არის, რომ სოფლის თავში, საცა რუ გადმოდის, წისქვილი აქვს გაკეთებული ერთს აქაურს მემამულეს. როცა ეს მემამულე აბრუნებს ხოლმე ამ წისქვილს, მთელის რუს წყალი ხევდება და მოდის სოფლის ნაპირას, სოფელზე მოშორებით. სოფელი-კი რჩება უწყლოდ. მართალია, რუისში ორი წყაროც არის, მაგრამ რას გახდება ორი წყარო ამოდენა მანძილზე გადაჭიმულის სოფლისათვის? აი ასეთს გაჭირებულს მდგომარეობაშია რუისი და ვერავის ვერ გაუბედნია ზემოხსენებულის მემამულესათვის, რომ მოშალოს თავისი წისქვილი იმ უალაგო-ალაგას და მოისხას მადლი მთელის სოფლისა. ერთად-ერთი იმედი გვაქვს ჩვენის კეთილისა და სახელგანთქმულის თანამემამულესი, ბ-ნის კ. ქ. მ—ლისა, რომელიც, ეჭვი არა გვაქვს, ჩააგონებს და მოაშლევინებს წისქვილს ზემოხსენებულს მემამულეს და ამით დაიხსნის ამოდენა სოფელს გაჭირებისა და შევიწროებულის მდგომარეობისაგანაო.

⁂ ქვემო მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა): ამ ზაფხულს აქ საკმაოდ მოიყარა თავი სცენის მოყვარე ახალგაზრდობამ და სცდილობდნენ უბრალოდ არ გაეტარებინათ დროება. ამათ შეკრებილებას უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია. განიზრახეს წარმოდგენის გამართვა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ამოირჩიეს გრ. იაკობიძის ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ბედნიერება უბედურებისაგან" და ითამაშეს 26 ივნისს. თამაშობა რიგიანი იყო, იგივე ახალგაზდობა კიდევ აპირებს ამ ზაფხულს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვას. მეორე წარმოდგენისთვის რომ კარგი ლექსები, პატარა სცენები ჩვენის ცხოვრებიდგან და სიმღერები მოამზადონ, ძალიან კარგი იქნება ანტრაქტებში ჩასართავად.

სასიამოვნო ის იყო, რომ ახლომახლო სოფლებიდგან აქ მოვიდა ხალხი საყურებლად და იმედია, რომ მეორე წარმოდგენაზე უფრო მეტი მსმენელი დაესწრება. ხარჯს გარდა „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ დარჩა 15 მანეთი.

◆

წვრილი ამბები

დღეს ახალის რომანის „L'Immortel"-ის გამო საზღვარ-გარეთის გაზეთებში ჩამოთვლილია რიცხვი საფრანგეთის ხუთის აკადემიის ყველა წევრთა. საფრანგეთის აკადემია, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, 40 „უკვდავ" წევრისაგან შესდგება. ამ აკადემიის უმთავრესი საგანი ის არის, რომ ფრანგულის ენის ლექსიკონი დასწეროს. სიტყვა-კაზმულ ლიტერატურისა და წარწერათა აკადემიაში ირიცხება აგრეთვე 40 წევრი. ესენი იკვლევენ ძველს ენებს, ნაშთეულობას და ისტორიასა. ამ აკადემიაში არის 8 უცხოელი წევრი და 50 კორრესპონდენტი, 30 უცხოელი და 20 ფრანგი. მეცნიერებათა აკადემია 11 განყოფილებად არის დანაწილებული: 1) სამათემატიკო: გეომეტრიასა ჰყავს 8 წევრი, მეხანიკას—6 წ., ვარსკვლავთმრიცხველობას—6 წ., გეოგრაფიასა და გემთა და ხომალდთა აგებას—6 წ., საზოგადო ფიზიკას—6 წ., 2) საფიზიკო: ქიმიას—6 წ., მინერალოგიას—6 წ., ბოტანიკას—6 წ., მედიცინასა და ხირურგიას—6 წ., ამ აკადემიაში 8 უცხოელი წევრია და 100-იც კორრესპონდენტი. ხელოვნებათა აკადემია ასეა განაწილებული: მხატვრობას—14 წ., ქანდაკებას—8 წ., ხუროთ-მოძღვრებას—8 წ., ხესა და ან სპილენძზე რისამე ამოჭრასა და ამოთხრას—4 წ., მუსიკას—6 წ., სულ 60 წევრია. ამ აკადემიას ჰყავს კიდევ 10 უცხოელი წევრი და 50 კორრესპონდენტი. საზნეობო და საპოლიტიკო მეცნიერებათა აკადემიასა ჰყავს 40 წევრი: ფილოსოფიას—8 წ., ზნეობას—8 წ., კანონთა ცოდნასა და მართლიერებას—8 წ., საეროეკონომიასა და სტატისტიკას —8 წ., საზოგადო და საფილოსოფიო ისტორიას—8 წ. ამ აკადემიაშიაც 8 უცხოელი წევრია და 48 კორრესპონდენტი.

— მაინის ფრანკფურტში, ერთის მეფარდაგის ფანჯარასთან, გამოკიდულია საათი განსვენებულის ბავარიის მეფის ლიუდოვიკო II-სა. აქვე არის მეწკვიც ამ საათისა. ეს საათი მეფეს 10,000 მან. დასჯდომია და თითქმის ერთად-ერთია თურმე მთელს ქვეყნის პირზედ ამისთანა ძვირფასი საათი.

— პარიჟის გაზეთი „Temps"-ი ამბობს, რომ ყიულიკის უბანში, კორეზის დეპარტამენტში, ამას წინად იპოვნეს მყვარი, მწვანე ჯოჯო, რომლის სანახავად თვით შორეულ ადგილებიდგანაც-კი მოდიოდნენ. ეს საოცარი მყვარი ორს ფუთამდე იწონდა, ისეთი უშველებელი იყო; იმისი ყიყინი ძაღლის ყეფასა ჰგვანდაო. ეს მყვარი ერთის სენტ-ენტიენის მდიდარს მრეწველს უყიდნია 750 მანათად.

— განქორწინება ერთის სიტყვის მიზეზით. პოლკოვნიკს სტრიტონს, ამას წინად დაქორწილებულს, გასარკვეული გამოუცხადებია ინგლისის გაზეთებში, რომ ჩემი ცოლი, რომელიც ფეხ მძიმედ გახლდათ, დაწვა, ხოლო ქალი-კი ეყოლაო. ეს „ხოლო ქალი"-კი ძალიანა სწყენია უმაწვილს ქალსა, მაშინვე თავი დაუნებებია ქმრისთვის, წასულა მშობლებთან და სასამართლოში თხოვნა შეუტანია, რომ ჩემს ქმართან ნუღარ მაცხოვრებთო, განმაქორწინეთო. თუმცა მშობლებს ბევრი უშლიათ, უმაწვილს ქალს თავისის განზრახვისათვის თავი არ დაუნებებია და გამოუცხადებია, რომ თუ კიდევ ჩემს ქმარს დამანახვებთ თვალით, ჩემს თავსაც მოვიკლავ და არც უმაწვილს ვაცოცხლებო.

— ბოსტონის ერთის ჟურნალის გამომცემელს ამას წინად ინგლისის პოეტის ბროუნინგისთვის 2,500 მან. შეუძლევია ერთის მოკლე ლექსში. პოეტს უარი უთქვამს და შემდეგი საყურადღებო წერილი მიუწერია: „მე რომ აგრე მუშაობა შემძლოს, დიდის სიამოვნებით დავსთანხმდებოდი თქვენს წინადადებაზე. ინგლისის ჟურნალმაც შემომაძლია დიდი ფული, მაგრამ მე უარი ვსთქვი და ამიტომ კიდევ უფრო მოუმატა ფასსა. ბოლოს, რომ ვერ დამიყაბულა, ქაღალდი გამომიგზავნა და მომწერა, რომ რამდენიც გინდოდეთ, იმდენი აღნიშნეთო. ეს ქაღალდიც უკანვე დავუბრუნე. მე ვერ ვიმუშავებ ჟურნალებსა და გაზეთებში. როცა ცალკე წიგნად გამოვსცემ ჩემს ნაწერებსა და გაიყიდება, ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ მოსწონთ ჩემი ლექსები და იმიტომა ყიდულობენ, ხოლო თუ ჟურნალებში ვბეჭდე, მაშინ-კი შეიძლება მეტიჩარა სტუმარი შევიქნე".

◆

დეპეშა

1 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ 1888-ს წელს მთელს იმპერიაში მოწოდებულ იქმნას ჯარისა და ფლოტის შესავსებლად 250,000 კაცი. ამათ შორის ისინიც უნდა მიიწვიონ, ვინც წარადგენს ძველს სარეკრუტო კვიტანციას, რომელიც პატარას სამხედრო სამსახურიდგან ანთავისუფლებს. თერგისა და ყუბანის მაზრებსა და ამიერ-კავკასიაში უნდა შეაგროვონ 2,400 კაცი. ამათ შორის 100 ოსი მაჰმადის სარწმუნოებისა უნდა ჩარიცხონ თერგის ყაზახის ჯარში.

27 და 28 ივნისს საიმპერატორო იახტა „ცარევნა" იდგა იუნფრუზუნდში, აბოს მახლობლად.

დღეს პეტერბურგში მოვა გზათა მინისტრი.

სიმბირსკი. 29 ივნისს დაიწვა ერთი უბანი ქალაქისა, რომელშიაც ორასს სახლზე მეტი იყო.

პარიჟი. გუშინ რადიკალებმა წარუდგინეს დეპუტატთა პალატას წინადადება, რომ გაუქმებულ იქმნას კათოლიკეთა ყველა ბერ-მონაზონთა ძმობანიო. ამის მიზეზი ის არის, რომ ზნეობის წინააღმდეგი საქციელი შეუმჩნევიათ ერთის ძმობის სამეურნეო სასწავლებელში. პალატამ 264 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 219 ხმისა სცნა, რომ ეს წინადადება დაუყოვნებლივ უნდა იქმნას განხილულიო.

გუშინ ბულანჟემ წარუდგინა პალატას წინადადება, რომ პალატა დაშალოსო. ამ წინადადებამ პალატა ძალიან გაამწვავა. ბულანჟეს პასუხი გასცეს მინისტრ-პრეზიდენტმა ფლოკემ და პალატის თავ-მჯდომარემ მელინმა. დასასრულ პალატამ, მელინის წინადადებისადა გვარად, გადასწყვიტა მოაგონოს ბულანჟეს წესი და კანონი. სხდომა გაიდო ორშაბათამდე.

ხმა დადის, ვითომ ბულანჟემ ფლოკე დუელში გამოიწვიაო.

ბერლინი. ერთს გაზეთში სწერია, ვითომ სერბიის მთავრობამ სთხოვა პრუსიისას, რომ დაგვეხმარეთ და სერბიის მემკვიდრე პრინცი სერბიაშივე დავაბრუნებინეთო. ამ გვარი თხოვნა უსათუოდ შეწყნარებული უნდა იყოს, რადგანაც საქმე ეხება არა მარტო მშობლის უფლებას, არამედ სამეფო უფლებას მილანისას. პრუსიის მთავრობამ გამოუცხადა დედოფალს ნატალიას, რომ პრინცი ჩააბარე მეფის გამოგზავნილს კაცსაო. დედოფალი ამაზე არ დასთანხმდა; ნატალიამ განიზრახა ძალაც იხმაროს, თუ ვინიცობაა შვილის წართმევა დაუპირეს ამ აზრით, როგორც ამბობენ, მოსამსახურეებს იარაღი დაურიგაო. პრუსიის მთავრობა არ იკადრებს, რომ თავისსავე სამფლობელოში იმის კანონსა და ბრძანებას წინააღმდეგობა გაუწიონ; არც იმას მოინდომებს, რომ პასუხი აგოს იმ უსიამოვნობის გამო, რომელიც სერბიის სამეფო გვარეულობაში სუფევს და ვისბადენში უნდა გადასწყდეს. ამიტომ სასურველია, რომ დედოფალი, თუ განზრახვა აქვს, რომ ძალა და იარაღი იხმაროს, წავიდეს გერმანიიდგან და სხვა ადგილი აირჩიოს საცხოვრებლად.

ლონდონი. ლორდთა პალატამ გუშინ ერთ-ხმად გამოუცხადა ნდობა მთავრობას იმ პოლიტიკის გამო, რომელიც მთავრობა ხელმძღვანელობს ირლანდიის საქმეებში.

პარიჟი. დღეს დილით მოხდა დუელი ბულანჟესა და ფლოკეს შუა. თავდაპირველად ბულანჟე მცირედ დაიჭრა მარჯვენა ხელში; შემდეგ ფლოკემ მიიღო მცირედი ჭრილობა ძუძუში; სამაგიეროდ ბულანჟე მძიმედ დაიჭრა კისერში. დაჭრილს სულთქმა გაჭირებული აქვს და ჯერ ძნელი სათქმელია, თუ ეს ჭრილობა რა თვისებისა იქნება.

ვისბადენი. სერბიის მემკვიდრე პრინცი დღეს 11 საათზე ჩააბარეს პოლიციის პრეზიდენტს.

ვენა. ხვალ აქ საგანგებო მატარებლით ჩამოვა სერბიის მემკვიდრე პრინცი და შემდეგ წავა სერბიაში. გზაზე პრინცს მიეგებება სერბიის ავსტრიელი ელჩი.

შესწორება: გუშინდელს დეპეშაში მოხსენებული არ არის ბილეთები №№ 7712—16 და 38—4, რომლებსაც ერგოთ ხუთ-ხუთ ათას მანათიანი მოგება.

2 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი აზრი სახელმწიფო რჩევისა: საზოგადოდ ვადა სამსახურისა ხმელეთის ჯარში წილის ყრით შესულთათვის უნდა იყოს 18 წელიწადი. ამაში ხუთი წელი ჩაერიცხება ნამდვილ სამსახურში; ხოლო ცამეტი წელი ჩაეთვლება საზურგო-ჯაროდ. ვისაც სწავლა შეუსრულებია პირველისა და მეორე ხარისხის სასწავლებლის მეექვსე კლასი, ანუ სასულიერო სემინარიის მეორე კლასი, ნამდვილ სამსახურში იქნებიან ორს წელიწადს, ხოლო ზურგის ჯარში თექვსმეტს. ვისაც შეუსრულებია მესამე ხარისხის სასწავლებელი, ის ნამდვილ სამსახურში იქნება სამს წელიწადს, ზურგის ჯარში—თხუთმეტს. ვისაც ექნება მოწმობა პირველ დაწყებითის სასწავლებლისა, ანუ მეოთხე ხარისხის სხვა სასწავლებელთა, იქმნებიან ნამდვილ სამსახურში ოთხი წელი და ზურგის ჯარში-კი თოთხმეტს. და ვინც ფლოტში ჩაირიცხება, ნამდვილ სამსახურში უნდა დაჰყოს ექვსი წელიწადი, ფლოტის ზურგის ჯარშიაც ოთხი. ნამდვილ სამსახურიდამ განთავისუფლებულ იქმნებიან მშვიდობიანობის დროს და ჩაირიცხებიან ზურგის ჯარში 18 წლით ისინი, ვისაც ექნება ხარისხი მკურნალისა ანუ მედიცინის დოქტორისა, საბეითალო მეცნიერებისა, ანუ ფარმაციის მაგისტრის, ანუ ბეითალისა, აგრეთვე მხატვრობის საიმპერატორო აკადემიის პანსიონერები, სახელმწიფო ხარჯით საზღვარ-გარეთ გაგზავნილნი, კიდევ ისინი, ვინც ასწავლიან 53 მუხლის დამატებაში ნაჩვენებ და მართებლობის სასწავლებელში, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილნი ზემოხსენებულს მუხლში, საშტატო აღმზრდელები და მათნი თანაშემწენი და უმცროსნი ზედამხედველნი სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლისანი.

გუშინ წავიდა კიევს უწმინდესის სინოდის კანცელარიის გამგე საბლერი რუსეთის მირონ-ღების ცხრაასის წლის დღესასწაულზე დასასწრებად.

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი ფლოტის მუნდირში გუშინ წაბრძანდა კილსა.

ვისბადენი. სერბიის მემკვიდრე პრინცი წავიდა გუშინ შუადღისას ბელგრადში, საღამოზედ-კი ვენაში წაბძან და დედოფალი ნატალია.
ლია.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	გაყიდულია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ მანათიანი ოქრო	— „	— „	8 43
[illegible]ამოუის კუპონები	— „	— „	168
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 33
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	271½
—მეორისა	— „	— „	251¾
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

3 დღე კვირა. წმ. წამ. იაკინთესი. კათოლ. ევ. ანატოლიისა. სომეხ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვის ალების ღამე. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—34. მთვარე 7 დღისაა.

4 დღე ორშაბათი. წმ. ანდრიასი. გელათის ღვთის მშობლის ხატისა. კათოლ. იოსებისა. სომეხ. პირველი დღე გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—სამეგრელომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, 1803 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—38, ჩადის 7—34. მთვარე 8 დღისაა.

5 დღე სამშაბათი. ღირსისა ათანასე ათონელისა. კათოლ. ფილომენისა. სომეხ. მეფე კონსტანტინესი და იმის დედის ელენესი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა. —გაუქმებულ იქმნა ბათუმის პორტო-ფრანკო, 1886 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—33. მთვარე 9 დღისაა.

6 დღე ოთხშაბათი. ღირსისა სისოესი. კათოლ. დომინიკესა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32. მთვარე 10 დღისაა.

7 დღე ხუთშაბათი. ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 11 დღისაა.

8 დღე პარასკევი. წამება პროკოფისა. კათოლ. წმ. ქვრივის დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ნახატუნაქი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—42, ჩადის 7—30. მთვარე 12 დღისაა.

9 დღე შაბათი. წამ. კირილესი. კათოლ. ევ. კირილესივე. სომეხ. პოვნა წმ. გრიგოლ განმანათლებელის ნაწილთა. განხსნილება. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე 13 დღისაა.

10 დღე კვირა. 45 წამებულთა ნიკოპოლეში. კათოლ. შვიდთა ძმათა წამებულთა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28. მთვარე 14 დღისაა.

განცხადებანი

„თეატრის" რედაქციისაგან.
დღეს, კვირას 3 ივლისს,
გაზეთი
თეატრი
ახალ სტამბაში გადატანის გამო,
არ გამოვა.

ნაფიცი ვექილი
ა. მ. ჭყონია
გადავიდა სადგომად
ნიკოლოოზის ქუჩაზე, № 72.
(3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე